საიდ. №78305/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №169-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის ოაო ,,პერმალკო" (ОАО "Пермалко") სააპელაციო საჩივარი (საიდ. №169-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 29 აგვისტოს №1063/03 ბრძანების ბათილად ცნობა „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ" და სასაქონლო ნიშნის - ,,Русский Резерв" (საიდ. N78305/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (33-ე კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 29 აგვისტოს №1063/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Русский Резерв“ წარმოადგენს ორი სიტყვის კომბინაციას: „Русский“, რომელიც რუსულიდან ქართულად ითარგმნება, როგორც „რუსული“ და „Резерв“, რომელიც ითარგმნება, როგორც „რეზერვი“. გამომდინარე იქიდან, რომ სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვიერი ნაწილი - „Русский“ მიუთითებს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული დასახელება ნიშანში გამოიყენება დაუცველი ნაწილის სახით და შესაბამისად, მოკლებულია სამართლებრივ დაცვას. რაც შეეხება სასაქონლო ნიშნის მეორე ნაწილს, „Резерв“- რეზერვი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „რეზერვი“ არის გამოუყენებელი შესაძლებლობების, რესურსების, ფინანსების ან სხვა სახის მარაგი. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი, არ შეიცავს განმასხვავებელუნარიან სიტყვას, ან სიტყვათა კომბინაციას. გარდა ზემოაღნიშნულისა, სასაქონლო ნიშანი „Русский Резерв“, აღწერილობითია იმ საქონლისათვის, რომლისთვისაც მოითხოვება მისი დაცვა. სასაქონლო ნიშანი ითვლება აღწერილობითად, როდესაც იგი შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლისგან ან/და მიჩნეულია ასეთად. განცხადებული ნიშანი, შედგება გეოგრაფიული

მახასიათებლისგან, რაც გულისხმობს, რომ საქონლის მარაგი წარმოებულია რუსეთში. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, იქიდან გამომდინარე, რომ სასაქონლო ნიშანი შეიცავს ორ ისეთ სიტყვიერ ელემენტს, რომელთაგან არც ერთი ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას, განცხადებული სასაქონლო ნიშანი, მთლიანობაში არადაცვითუნარიანია. აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია ოაო ,,პერმალკო“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ექსპერტმა არ ჩათვალა საჭიროდ ექსპერტიზის დაკსვნაში მიეთითებინა, თუ რომელი ენიდან ითარგმნება სიტყვა „Резерв“, როგორც „რეზერვი“. აპელანტის მითითებით, საქართველში რეგისტრირებულია ისეთი ნიშნები, როგორიცაა „РУССКИЙ СТАНДАРТ“ (რეგ. N21490) და „RUSSIAN STANDARD“ (რეგ. N21491), შესაბამისად იმის მტკიცება, რომ სიტყვა „რეზერვი“ მიეკუთვნება სიტყვების ისეთ ჯგუფს, რომელიც არ განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს/მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისაგან/მომსახურებისაგან საფუძველს მოკლებულია. აპელანტის განმარტებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Русский Резерв“ რეგისტრირებულია რუსეთის ფედერაციაში 2005 წელს (რეგ.N335742) და ასევე, სხვა ქვეყნებში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 29 აგვისტოს №1063/03 ბრძანების ბათილად ცნობას სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ და სასაქონლო ნიშნის - ,,Русский Резерв“ (საიდ. N78305/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუქნტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Русский Резерв“ წარმოადგენს აღწერილობით და არაგანმასხვავებელუნარიან სასაქონლო ნიშანს 33-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ: „ალკოჰოლიანი სასმელი (ლუდის გარდა)“. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში სიტყვა „Русский“, რომელიც რუსულიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „რუსული“ პირდაპირ მიანიშნებს მომხმარებელს საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე. რაც შეეხება ნიშნის მეორე სიტყვას „Резерв“, იგი ფართოდ გამოიყენება ალკოჰოლური სასმელებისთვის, როგორც დაძველების ხარისხის აღმნიშვნელი ტერმინი. შესაბამისად, სიტყვა „Резерв“ პიდაპირ მიანიშნებს საქონლის მახასიათებელზე, კერძოდ, ალკოჰოლური სასმელების დაძველების ხარისხზე, რაც თავის მხრივ, მიუთითებს წარმოებული საქონლის მახასიათებლებზე. სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ელემენტის „Резерв“ პროდუქციაზე დატანა, მომხმარებელს მიანიშნებს პროდუქციის ხარისხზე. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული

სასაქონლო ნიშანი შედგება ისეთი სიმბოლოებისაგან, რომლებიც მიუთითებენ საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე და მის სხვა მახასიათებლებზე, ამდენად ნიშანში გამოყენებული ორივე სიტყვიერი ელემენტი არადაცვისუნარიანიან ელემენტს წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგია თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასაქონლო ნიშნის ,,Русский Резерв“ (საიდ. N78305/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ოაო ,,პერმალკო“ (ОАО "Пермалко") სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ” სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების

ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 29 აგვისტოს №1063/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ლ. ახობაძე

დ. ჭიჭინაძე